



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 დეკემბერი 2023



N 699/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმში, შპს „ბათუმის მილის“ პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ბათუმის მილის“ (ს.ნ. 448054462) მიერ 2023 წლის 6 სექტემბერს (წერილი N8641) სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ბათუმში, პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N467/ს; 15/09/2023) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №11ბ-ში, შპს „ბათუმის მილის“ პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე 2022 წლის 4 აგვისტოს გაცემულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (N234/ს), გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა.

2022 წელს შპს „ბათუმის მილის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N11ბ-ში პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N63/ბრძანება N428/ს; 01/11/2022).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ბათუმის მილის“ დაგეგმილი აქვს ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №11ბ-ში არსებულ პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური (ნარჩენების აღდგენის) ხაზის დამატება. საწარმო განთავსებულია შპს „გიბ 2011“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1424 მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.26.28.045), რომლითაც შპს „ბათუმის მილი“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს GPS კოორდინატებია: X-219915; Y-4614230. საწარმოს ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს

სამრეწველო ობიექტები (ავეჯის ქარხანა და სხვა სასაწყობე ტერიტორიები), ხოლო სამხრეთით სასაწყობე მეურნეობები და პურის საცხობი, რომელიც დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით. ტერიტორიის ჩრდილოეთით დაახლოებით 160 მეტრში განთავსებულია ყინულის სასახლე, საპატრულო პოლიცია და სავაჭრო ობიექტები. უშუალო საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია სხვადასხვა სახის სასაწყობო ტერიტორიები. საწარმოდან დაახლოებით 580 მეტრში განთავსებულია ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის შპს „გიო-10“-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მიღების დამამზადებელი საწარმო. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 70 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, - მდ. მეჯინისწყალი დაახლოებით 2.3 კმ-ით.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, მათ შორის განხილულია არაქმედების, ტექნოლოგიური და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ხელს შეუწყობს რეგიონში წარმოქმნილი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებას და მათი გარემოში მოხვედრის რისკების შემცირებას. აგრეთვე, საწარმოში დაგეგმილია დამატებით 6 ადამიანის დასაქმება. აღნიშნული საკითხებისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საწარმოს ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება, პროექტის არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა. გზმ-ის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოში განსათავსებელი დანადგარები წარმოადგენს ადაპტირებულ, პრაქტიკულად უალტერნატივო ტექნოლოგიას, შესაბამისად, აღნიშნული კუთხით ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა. გზმ-ის ანგარიშის შესაბამისად, დაგეგმილი ცვლილებებისათვის ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა, ვინაიდან - ახალი ხაზის (ნარჩენების აღდგენა) დამატება დაგეგმილია არსებულ საწარმოს შენობაში, რომელიც უკვე წლებია ფუნქციონირებს.

არსებული საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი გულისხმობს შემოტანილი პოლიეთილენის გრანულებისგან პოლიეთილენის წყლის მიღების წარმოებას. წარმოება ხორციელდება თურქული წარმოების „HTE0322.OER“ ტიპის ორი (160 და 120 კგ/სთ წარმადობით) დანადგარის საშუალებით, რომელთა ჯამური წარმადობა 280 კგ/სთ შეადგენს. საწარმოს დანიშნულებაა პოლიეთილენისაგან 20, 25, 32, 40, 50, 63, 75, 90 და 110 მმ-იანი პოლიეთილენის მიღების წარმოება, რისთვისაც ნედლეულის სახით გამოიყენება საზღვარგარეთიდან შემოტანილი ან საქართველოში წარმოებული პოლიეთილენის მზა ნედლეული გრანულების სახით. გრანულები (ე.წ. „კროშკა“) იყრება მიღების ექსტრუდერის მიმდებ ბუნკერში, საიდანაც მიეწოდება 160 კგ/სთ წარმადობის მიღების ექსტრუდერს. ექსტრუდერიდან ნედლეული გადადის შემწოვ დანადგარში, საიდანაც გაიწოვება ე.წ. „შნეკში“, სადაც მიმდინარეობს ნედლეულის გაცხელება თერმორეგულატორებით 200⁰ C-მდე. გაცხელების შედეგად მასა ხდება ბლანტი და წნევის ქვეშ ფორმირებისათვის გადადის ე.წ. „კალიბრატორში“, საიდანაც ფორმირებელი მილი გადადის გამაცივებელ ავზში. ტექნოლოგიური რეჟიმის ამ კვანძში ხელოვნურად იქმნება ვაკუუმი, რომლის დროსაც მილი ღებულობს საბოლოო ფორმას და დამატებითი გაგრილებისათვის გადადის ანალოგიური ტიპის მეორე დანადგარში. მიღების გაგრილებისათვის გამოიყენება წყალი. მზა მიღების დაჭრა-დახარისხება ხდება პლანეტარული ტიპის საჭრელ დანადგარში. ერთ შეკვრად დასაწყობებული დაჭრილი მილები გადადის მილის თავის ფორმირების დანადგარში, სადაც ხდება ასევე დამჭერის მორგება მილებზე. მზა პროდუქცია საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე შემდგომი რეალიზაციისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილია პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოო ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა და ექსპლუატაცია, რისთვისაც კომპანია გეგმავს ნარჩენების დასაქუცმაცებელი 100 კგ/სთ წარმადობის წისქვილისა და 100 კგ/სთ წარმადობის გრანულატორის მონტაჟს, შესაბამისი საჭირო ტექნოლოგიური ხაზით (გასარეცხი, საწნეხი, საშრობი). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საწარმოში გათვალისწინებულია პოლიმერული ნარჩენების

(კოდებით: 07 02 13 პლასტმასის ნარჩენი; 15 01 02 პლასტმასის შესაფუთი მასალა) მიღება, გადამუშავება და გრანულების წარმოება (ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდი R3), რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნება პოლიეთილენის წყლის მილების დასამზადებლად.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის პირველ ეტაპზე ხორციელდება შემოტანილი პოლიეთილენის ნარჩენების დაქუცმაცება 100 კგ/სთ წარმადობის წისქვილში. აღნიშნული დაქუცმაცებული ნარჩენები ტრანსპორტიორით გადადის გამრეცხ დანადგარში, სადაც ხდება წყლის გამოყენებით დაფქული მასის მექანიკური არევით რეცხვა. გარეცხილი სველი მასა მიეწოდება დასაწნებ დანადგარს. დაწნეხილი სველი მასა თერმული დამუშავების მიზნით (80-100°C-მდე) გადაინაცვლებს ე.წ აკრომელის დანადგარში, ხოლო შემდგომში საშრობში. მიღებული მასა გადადის გრანულაციის დანადგარში და მუშავდება თერმულად (200°C-მდე). დამუშავებული მასა გაივლის საცერს, დაიჭრება გრანულებად და ინახება ტომრებში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია საათში 100 კგ პოლიეთილენის ნარჩენის გადამუშავება. საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოს საპროექტო წარმადობაა 0.1 ტ/სთ (240 ტ/წელ) პოლიეთილენის ნარჩენების და 672 ტ/წელ პოლიეთილენის წყლის მილების წარმოება, რისთვისაც საწარმოში ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება წელიწადში 240 ტ პოლიეთილენის ნარჩენები და 432 ტ პოლიეთილენის პირველადი გრანულები. საწარმოში დასაქმებული იქნება 12 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში გადასამუშავებელი ნედლეულის შემოტანა განხორციელდება პოლიეთილენის ნარჩენების შეგროვების, დროებითი განთავსებისა და მათი შემდგომი ტრანსპორტირების ნებართვის მქონე ორგანიზაციებიდან, ასევე ობიექტებიდან, რომელთაც მსგავსი სახის ნარჩენი წარმოექმნებათ. შემოტანილი ნარჩენები დასაწყობდება საწარმოს შენობის დახურულ, მობეტონებულ სასაწყობე ტერიტორიაზე. ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ტერიტორიის ჩრდილოეთით, 100 მეტრში არსებული სულხან-საბა ორბელიანის და ჩრდილო-აღმოსავლეთით 130 მეტრში - პეტრე მელიქიშვილის ქუჩები. დოკუმენტის თანახმად, ნედლეულის შემოტანისა ან პროდუქციის გასატანად დღეში განხორციელდება დაახლოებით 1 სატრანსპორტო ოპერაცია მცირე მტვირთამწიფობის სატვირთო მანქანების მეშვეობით. გზშ-ის ანგარიშში შემარბილებელი ღონისძიებების სახით ასევე გათვალისწინებულია დასახლებულ პუნქტში სიჩქარის შეზღუდვა, სატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური გამართულობის კონტროლი, სატრანსპორტო ოპერაციების მხოლოდ დღის საათებში (09:00 - 18:00 სთ) განხორციელება და შესაბამისად ღამის საათებში ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების აკრძალვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციისას სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალი საწარმოში გამოიყენება საწარმოო და სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. წყლის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. საწარმოო მიზნებისთვის წყლის გამოყენება ხდება ნარჩენების გადამუშავების უბანზე, ნედლეულის გასარეცხად და წყლის მილების ექსტრუდერში გასაგრილებლად. ერთი ტონა პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავებისთვის საჭიროა 3 მ³ წყალი (წელიწადში 720 მ³). ხოლო სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წელიწადში გამოყენებული იქნება 162 მ³ წყალი. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მიზნებისთვის გამოყენებული წყლების ჩაშვება განხორციელდება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში. დოკუმენტაციის თანახმად, პოლიეთილენის ნარჩენების გარეცხვისას წარმოქმნილი წყალი დაბინძურებული იქნება მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებით, შესაბამისად მათი ჩაშვება შესაძლებელი იქნება საკანალიზაციო სისტემაში, შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. ექსტრუდერში გაგრილება ხდება წყალმომარაგების ბრუნვით სისტემით, ხოლო არსებული წყლის აორთქლებისას დანაკარგი არ აღემატება წელიწადში 10 მ³-ს. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ვინაიდან

ტექნოლოგიური დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების შეკრებისა და გაწმენდის საჭიროება არ არსებობს და საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

გზმ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა და ნახშირბადის ოქსიდი. ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებები გაიფრქვევა გარე პერიმეტრზე შენობაზე დამონტაჟებული გამწოვი მილის საშუალებით. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშიდან დგინდება, რომ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების მნიშვნელობა უახლოეს მოსახლესთან (მანძილი საწარმოს შენობასა და საცხოვრებელი სახლს შორის - 70 მ) არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. გზმ-ის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს საწარმოს ტერიტორიაზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობა და ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ კაპიტალურ შენობაში, რაც დამატებით ამცირებს აკუსტიკური ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას. შესაბამისად, გზმ-ის ანგარიშში მოცემული გაანგარიშების თანახმად, ხმაურის დონეები უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (70 მ) შეადგენს 27.1 დბა-ს და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმო იფუნქციონირებს მხოლოდ დღის საათებში (8 სთ). აგრეთვე, საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა დამატებითი და სარემონტო სამუშაოების დღის საათებში განხორციელება, დანადგარ-მექანიზმების ტექნიკური გამართულობა, სატრანსპორტო ოპერაციების დღის საათებში განხორციელება.

საწარმოს ექსპლუატაციისას ადგილი ექნება როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. გზმ-ის დოკუმენტაციის თანახმად, მუნიციპალური ნარჩენები განთავსდება კონტეინერებში და მათი გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (საწმენდი საშუალებები, თხევადი მასისგან თავისუფალი წებოვანი მასალის ტარა), ასევე ნარჩენები კოდით - 20 01 32 (მედიკამენტები, გარდა 20 01 31 პუნქტით გათვალისწინებული) დროებით განთავსდება შენობაში გამოყოფილ ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ნარჩენები არ წარმოიქმნება, ვინაიდან, წუნდებული პროდუქციის სახით წარმოქმნილი ნარჩენები გამოყენებული იქნება წარმოებაში ნედლეულის სახით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. დოკუმენტის თანახმად, ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

ვინაიდან საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია არსებულ შენობაში, შესაბამისად, ნიადაგზე, მცენარეულ საფარსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

გზმ-ის ანგარიშში განხილულია ავარიული სიტუაციების წარმოქმნის რისკები და მოცემულია ავარიებზე რეაგირების გეგმა. დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო მომარაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების სახედ შესაძლოა მიჩნეული იყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება, ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრიან რადიუსში არ მდებარეობს ანალოგიური ტიპის ობიექტი, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 19 ოქტომბერს, 16:00 საათზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ბათუმის მილის“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და გზმ-ის ანგარიშის შემდგენელი გარემოსდაცვითი კონსულტანტი. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა წარმოების პროცესში გამოყენებული წყლის სრულ აორთქლებას, საწარმოს წარმადობას, საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილსა და საწარმოო ზონირებას, ნედლეულის დასაწყობებას, სავენტილაციო სისტემას და სხვა საკითხებს. აღნიშნული საკითხები განმარტეს შპს „ბათუმის მილის“ წარმომადგენლებმა და კონსულტანტმა. კონსულტანტმა აღნიშნა, რომ წარმოების პროცესში არ ხდება გამოყენებული წყლის 100%-იანი აორთქლება, ასევე დააზუსტა საწარმოს წარმადობა. გარდა ამისა, კონსულტანტის განმარტებით, საწარმოს ტერიტორია განთავსებულია საწარმოო ზონაში, რისი გათვალისწინებითაც მოხდა სამშენებლო ნებართვის გაცემა. შპს „ბათუმის მილის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოების პროცესში მიღებული პროდუქციის დასაწყობება მოხდება გადახურულ ტერიტორიაზე მოწყობილ საწყობში. კომპანიის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საწარმო უზრუნველყოფილია სავენტილაციო სისტემით. საჯარო განხილვაზე გამოთქმული კითხვები და მოსაზრებები, შესაბამისი განმარტებებით აისახა გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. ბათუმში, შპს „ბათუმის მილის“ პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. შპს „ბათუმის მილმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
3. შპს „ბათუმის მილმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების და დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა;
4. შპს „ბათუმის მილმა“ ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების GIS კოორდინატების, სიხშირის, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოთა და სტანდარტის მითითებით). საქმიანობა განხორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
5. შპს „ბათუმის მილმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში კვარტალში ერთხელ უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) და ნახშირბადის მონოქსიდზე(CO) უახლოეს მოსახლესთან და შედეგები 6 თვეში ერთხელ წარადგინოს სააგენტოში;
6. შპს „ბათუმის მილმა“ ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობამდე სამინისტროსთან შეთანხმდეს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.
7. შპს „ბათუმის მილმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს მუდმივი მონიტორინგის განხორციელება საწარმოო ციკლში ჩართულ ტექნიკურ დანადგარებზე;
8. შპს „ბათუმის მილი“ ვალდებულია ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
9. შპს „ბათუმის მილმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
10. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის მილს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
11. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის მილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

12. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

